

სააქციო საზოგადოება „ბამზის წართი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. კომპანია და მისი საქმიანობა.....	7
2. მომზადების საფუძველი	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დამკვეთები და შეფასებები.....	16
5. ახალი სტანდარტები, რომლებიც გამოცემული იყო 2022 წლის ბოლოს მდგომარეობით და ჯერ არ არის დანერგილი	17
6. ძირითადი საშუალებები	20
7. საინვესტიციო ქონება	21
8. სხვა გრძელვადიანი აქტივები	21
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
10. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	22
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
12. ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	23
13. ხელფასის ხარჯი და სხვა სარგებელი.....	23
14. საოპერაციო ხარჯები	24
15. სხვა არასაოპერაციო ხარჯი	24
16. კაპიტალი	24
17. ფინანსური რისკის მართვა	25
18. დაკავშირებული მხარეები	26
19. მოგების გადასახადი.....	26
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	27

სს „ბამბის ნართი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.	შენიშვნა
გრძელვადიანი აქტივები:			
საინვესტიციო ქონება	8 758 741	8 749 257	7
ძირითადი საშუალებები	153 239	166 191	6
სხვა გრძელვადიანი აქტივები	100 580	88 270	8
გრძელვადიანი აქტივები სულ:	9 012 560	9 003 718	
მოკლევადიანი აქტივები:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	104 335	118 808	9
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	375 770	335 997	10
მარაგები	646	305	
მოკლევადიანი აქტივები სულ:	480 750	455 110	
აქტივები სულ:	9 493 310	9 458 829	
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	66 670	68 868	11
გადასახდელი დივიდენდები	304 782	309 411	
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	371 452	378 279	
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	926 304	926 304	16
დაგროვილი მოგება	8 195 555	8 154 246	
კაპიტალი სულ:	9 121 859	9 080 550	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	9 493 310	9 458 829	

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 12 ივნისს.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:

დირექტორი:

დავით პაპუნაშვილი

თეონა ლებანიძე

7-27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

სს „ბამბის ნართი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	2022 წელი	2021 წელი	შენიშვნა
ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	334 366	347 454	12
ხელფასის ხარჯები	(169 571)	(151 509)	13
საოპერაციო ხარჯები	(64 983)	(58 281)	14
მოგება/(ზარალი) ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან	99 813	137 665	
ფინანსური შემოსავალი	13 345	8 664	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1 408	4	
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(73 256)	(54 556)	15
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	41 309	91 776	
მოგების გადასახადი	-	(2 644)	
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)	41 309	89 132	
საბაზისო და განზავებული შემოსავალი / (ზარალი) ერთ აქციაზე	0.06	0.13	

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 12 ივნისს.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:

დირექტორი:

დავით პაპუნაშვილი

თეონა ლეხანიძე

სს „ბამბის ნართი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	2022 წელი	2021 წელი	შენიშვნა
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისა და დამკვეთისგან მიღებული ფულადი სახსრები	417 463	393 000	
გადახდილი ხელფასები (საპენსიოს ჩათვლით)	(140 299)	(134 703)	
სხვა საოპერაციო ხარჯები	(123 091)	(206 471)	
გადახდილი გადასახადები	(111 710)	(961 623)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	42 362	(909 798)	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1 013)	(7 841)	
საინვესტიციო ქონებაზე კაპიტალიზებადი შეძენები	(10 523)	-	
მიღებული პროცენტები	13 345	8 664	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	1 809	823	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
გადახდილი დივიდენდები	(4 398)	(36 457)	16
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(4 398)	(36 457)	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(0)	0	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	39 773	(945 432)	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	335 997	1 281 428	10
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	375 770	335 997	10

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 12 ივნისს.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:

დირექტორი:

დავით პაპუნაშვილი

თეონა ლებანიძე

7-27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

სს „ბამზის წართი“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

	სააქციო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ
ნაშთი 31.12.2020-თვის	926 304	8 065 114	8 991 418
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	89 132	89 132
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	926 304	8 154 246	9 080 550
ნაშთი 31.12.2021-თვის	926 304	8 154 246	9 080 550
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	41 309	41 309
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	926 304	8 195 555	9 121 859
ნაშთი 31.12.2022-თვის	926 304	8 195 555	9 121 859

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 12 ივნისს.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:

დირექტორი:

დავით პაპუნაშვილი

თეონა ლებანიძე

7-27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

1. კომპანია და მისი საქმიანობა

სს „ბამბის ნართი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც შექმნილია ყოფილი სართავი ფაბრიკის ბაზაზე და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია რეგისტრირებულია 1996 წლის 25 ოქტომბერს გლდანი-ნაძალადევის სასამართლოს #1-5-22 დადგენილებით. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 200003085. იურიდიული მისამართია - ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ვახტანგ წინუას ქუჩა #3. კომპანიის ხელმძღვანელთა თეონა ლებანიძე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს უძრავი ქონების გაქირავებას.

კომპანია წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელსაც ჰყავს 852 აქციონერი ფიზიკური პირი და რომლის აქციონერთა რეესტრს აწარმოებს სს „ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი“. გამოშვებული და განთავსებული აქციების რაოდენობა შეადგენს 712,541 ცალს.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციების წილი გადანაწილებული იყო შემდეგი სახით:

მსხვილი აქციონერები	2022	მსხვილი აქციონერები	2021
ქვათაძე ქრისტინე	15.1245%	ქვათაძე ქრისტინე	15.1245%
ჯინჭარაძე ლუიზა	13.0395%	ჯინჭარაძე ლუიზა	13.0395%
პაპუნაშვილი დავითი	10.1412%	პაპუნაშვილი დავითი	10.1412%
ლებანიძე თეონა	12.6589%	ლებანიძე თეონა	12.6589%
ახვლედიანი თამაზი	12.6664%	ახვლედიანი თამაზი	12.6664%
ღლონტი დავითი	12.6664%	ღლონტი დავითი	12.6664%
ბრეგაძე მერი	7.23341%	ყურაშვილი მურმანი	7.2177%
მარშანია გულო	5.2185%	მარშანია გულო	5.2185%
სხვა ფიზიკური პირები	11.25128%	სხვა ფიზიკური პირები	11.2669%
სულ	100%	სულ	100%

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, აქტივებისა თუ კაპიტალის ოდენობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია ფუნქციონირებადობის საფრთხე და საქმიანობა გაგრძელდება ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას („სამუშაო ვალუტა“). კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტას ასევე წარმოადგენს ქართული ლარი.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება საოპერაციო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომ სეზ) გაცვლითი კურსით ანგარიშგების დღეს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა. არაფულადი საშუალებების

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კონვერტაცია, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულების დადგენის მიზნით, ხდება გაცვლითი კურსით, რომელიც არსებობს თავდაპირველი ოპერაციის დღეს. არაფულადი საშუალებები, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა რეალური ღირებულების დადგენა. როცა არამონეტარული პუნქტის მოგება ან ზარალი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, აღნიშნული მოგების ან ზარალის ნებისმიერი შეცვლილი კომპონენტი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში. და პირიქით, როცა არამონეტარული პუნქტის მოგება ან ზარალი აღიარებულია მოგება/ზარალში, აღნიშნული მოგების ან ზარალის ნებისმიერი შეცვლილი კომპონენტი აღიარებულია მოგება/ზარალში.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის საკონტრაქტო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს, ჩართულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მოგებას გამოკლებული ზარალის მუხლში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
1 USD/GEL	2.7020	3.0976
1 EUR/GEL	2.8844	3.5040

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი აღრიცხვა

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც იწვევს ერთი სუბიექტის ფინანსურ აქტივს და მეორე სუბიექტის ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამოწვევისაა სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, კომპანია სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმაზე თუ როგორ მართავს კომპანია ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღობვა, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც კომპანია ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

კომპანია აღირიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)

მოგება ან ზარალი ასეთი ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულებით შეფასებიდან არასდროს ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. დივიდენდები აღირიცხება როგორც სხვა შემოსავალი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანია ხდება უფლებამოსილი მიიღოს თანხა. კაპიტალის ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით არ ექვემდებარება გაუფასურებას. კომპანია ასეთად აკლასიფიცირებს არაკოტირებულ კაპიტალის ინსტრუმენტებს.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოძინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა)

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ

ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს

რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ფინანსურ ვალდებულებები პირველადი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით. მოგება, ან ზარალი აღიარდება, როგორც მოგება-ზარალში, ვალდებულების აღიარების შეწყვეტის მომენტისთვის, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზირებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვის პროცესში მიღებულ ნებისმიერ პრემიუმის ან ფასდაკლების გათვალისწინებით და ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც ფინანსური ხარჯები. აღნიშნული კატეგორია ძირითადად მიესადაგება პროცენტის მატარებელ სესხებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგებაზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფული და ფულის ეკვივალენტები,

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს კომპანიის სალაროში და საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ნაშთებს.

შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიჭვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასიცხოხოლო პერიოდის განმავლობაში:

აქტივების ჯგუფი	ცვეთის ნორმა %
შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	8%
ავტომობილები, კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	20%

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება და/ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შეძენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ საბაზრო ღირებულებას გადაფასების თარიღში. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობება სამართლიანი ღირებულების ცვლილებით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, იმ პერიოდში როდესაც მოხდა ცვლილება.

საინვესტიციო ქონების აღარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივისგან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ფართების იჯარით გაქირავება. ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან აღიარდება მაშინ როდესაც კონტროლი საქონელსა და მომსახურებაზე გადადის კლიენტზე იმ თანხით რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ აქციონერებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

მარაგები.

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველაზე დაბალი ღირებულებით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემენასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობას არსებული აქტივის გასაყიდად ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალი მოიცავს კომპანიის მიერ გამოცემულ აქტივებს.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისათვის, რომელშიც გამოცხადდა.

კაპიტალის უკმარისობის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს სააქციო კაპიტალს და დაგროვილ მოგებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნებს ეფექტური მთლიანი ფინანსირების სტრუქტურის შესანარჩუნებლად ნასესხები საშუალებებისგან თავის არიდების დროს. აღნიშნული ითვალისწინებს კომპანიის სხვადასხვა კლასის ვალების სუბორდინაციის დონეს, აგრეთვე არეგულირებს გადახდილი დივიდენდების ოდენობას, კაპიტალის მფლობელებისათვის დაბრუნებას.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შევებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს მომავალ პერიოდში.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან, ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს ძირითად (ან ყველაზე ხელსაყრელ) ბაზარზე, შეფასების თარიღისთვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში (ე.ი. გასვლის ფასი), იმის მიუხედავად, ეს ფასი უშუალოდ დაკვირვებადი (ემპირიულია), თუ გამოითვლება შეფასების სხვა მეთოდის გამოყენებით მაგ: შემოსავლების მიდგომა, საბაზრო მიდგომა ან დანახარჯების მიდგომა.

კომპანიამ მოახდინა მიწის და შენობა-ნაგებობების შეფასება სამართლიანი ღირებულებით 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

კომპანიის საინვესტიციო ქონება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია დასაშვები ღირებულებით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ საინვესტიციო ქონების შეფასება გაკეთდა კომპანიის მეჯმენტის მიერ საბაზრო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ექვემდებარებულ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

ძირითადი საშუალებები

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

5. ახალი სტანდარტები, რომლებიც გამოცემული იყო 2022 წლის ბოლოს მდგომარეობით და ჯერ არ არის დანერგილი

- სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, და რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე, მოცემულია ქვემოთ. კომპანიის ამ სტანდარტების მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე:

ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17 ანაცვლეს ფასს 4-ს, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიების აღიარება და აღრიცხვა:

(i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებას) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ხელშეკრულებების ამ კომპანიაში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის, რომ ამ ცვლილებებს გავლენა ექნებათ მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება – შესწორებები ბასს 1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის იანვრიდან ან მის შემდეგ). ეს ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით – 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID-19 პანდემიის გამო, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება – შესწორებები ბასს 1-თვის (ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 01 იანვრიდან ან მის შემდეგ).

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად, ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიჯნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-ისთვის:

ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.

დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება: საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.

სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე: დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების“ ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.

ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები – ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან კომპანიისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული კომპანიის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.

სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას კომპანიების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს-ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

გადავადებული გადასახადი დაკავშირებული აქტივებსა და ვალდებულებებთან რომლებიც წარმოიქმნება ერთი ოპერაციისგან – ბასს 12-ის შესწორებები (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ის შესწორებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა გარიგებებზე, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმო თავისუფლდება გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ის პირველად აღიარებს აქტივებს ან ვალდებულებებს. უწინ, იყო გაურკვევლობა იმის თაობაზე, თავისუფლდებოდა თუ არა ისეთ გარიგებები, როგორებიცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები – გარიგებები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, გათავისუფლება არ ვრცელდება და სუბიექტები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ასეთ გარიგებებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი გარიგებებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობენ დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და იჯარის დროს (ფასს 16-ში ცვლილებები, იჯარა. ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის) მოითხოვს გამყიდველ-მოიჯარეს აღრიცხოს ცვლადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც წარმოიქმნება გაყიდვისა და დაბრუნების ტრანზაქციაში შემდეგნაირად: თავდაპირველი აღიარებისას, საიჯარო ვალდებულების შეფასებისას ჩართული იქნეს იჯარის ცვლადი გადახდები, რომელიც წარმოიქმნება გაყიდვა-იჯარის ოპერაციიდან. თავდაპირველი აღიარების შემდეგ გამოიყენებული იქნეს ზოგადი მოთხოვნები საიჯარო ვალდებულების შემდგომი აღრიცხვისთვის ისე, რომ არ აღიარდეს სარგებლობის შენარჩუნებულ უფლებასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი. გამყიდველ-მოიჯარეებს მოეთხოვებათ ხელახლა შეაფასონ და პოტენციურად განახლონ 2019 წელს ფასს 16-ის დანერგვის შემდეგ დადებული გაყიდვა-იჯარის ტრანზაქციები.

მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ჩვენი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

6. ძირითადი საშუალებები

	შენობა ნაგებობები (GEL)	მანქანა დანადაგარები (GEL)	სხვა (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება				
სულ ისტორიული ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	30 435	198 310	15 855	244 600
დამატება	4 769	-	3 072	7 841
(გასვლა)	-	-	(1 873)	(1 873)
სულ ისტორიული ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	35 205	198 310	17 054	250 568
დამატება	-	-	858	858
(გასვლა)	-	-	(1 286)	(1 286)
სულ ისტორიული ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	35 205	198 310	16 626	250 141
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება				
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5 017	56 314	9 671	71 001
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	1 459	11 294	1 595	14 348
ჩამოწერა	-	-	(972)	(972)
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6 476	67 608	10 294	84 377
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	1 436	10 456	1 533	13 426
ჩამოწერა	-	-	(901)	(901)
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7 912	78 064	10 926	96 902
ნარჩენი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	25 419	141 996	6 184	173 599
ნარჩენი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	28 729	130 702	6 760	166 191
ნარჩენი ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	27 292	120 246	5 700	153 239

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

7. საინვესტიციო ქონება

	მიწა (GEL)	შენობები (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება			
სულ ისტორიული ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7 880 086	869 170	8 749 256
დამატება	-	-	-
(გასვლა)	-	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7 880 086	869 170	8 749 256
დამატება	-	9 484	9 484
(გასვლა)	-	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7 880 086	878 655	8 758 741

საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია რეალური ღირებულებით. 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შეფასება გაკეთდა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, რომელიც არის აკრედიტირებული დამოუკიდებელი შემფასებელი. 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეფასება გაკეთებულია კომპანიის მიერ და დაფიქსირებული არ არის ფასების მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც გამოიწვევდა რეალური ღირებულების გადაფასებას. კომპანიის მიწა და შენობები განთავსებულია თბილისში, ვ.ნინუას ქ 3 (ყოფილი ტრიკოტაჟის 3) .

8. სხვა გრძელვადიანი აქტივები

სხვა გრძელვადიანი აქტივი მოიცავს იმ წინსწრებით გადახდილი ხარჯების ჯამურ ღირებულებას, რომელიც კომპანიამ, საინვესტიციო ქონების მიწაზე, კორპუსის და სასაწყობე ფართის მშენებლობის ნებართვის განსახორციელებლად გადაიხადა.

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2022 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2021 წ. (ლარი)
სავაჭრო მოთხოვნები	164 844	187 619
დაკლებული გაუფასურების დანაკარგი	(128 501)	(154 049)
წინასწარგადახდილი თანხები	67 992	85 238
	104 335	118 808

ყველა სავაჭრო მოთხოვნა არის მოკლევადიანი და უპროცენტო. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების წმინდა ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად აყენებს კომპანიას საკრედიტო რისკის ქვეშ შედგება, სავაჭრო და სხვა დებოტორული დავალიანებისაგან. ყოველი წლის ბოლოს კომპანია აფასებს დებიტორების გადახდისუნარიანობას და საჭიროების შემთხვევაში აკეთებს რეზერვებს. ყველა მოთხოვნა არის დენომინირებული ლარში.

2022 წლის განმავლობაში სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვი შემცირდა 25,548 ლარით. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვის ცვლილება:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვი	
31 დეკემბერი 2021	(154,049)
ცვლილება პერიოდის განმავლობაში	25,548
31 დეკემბერი 2022	(128,501)

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2022 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2021 წ. (ლარი)
ფული სალაროში	41	7
საბანკო ანგარიშები	375 729	335 990
	375 770	335 997

მიმდინარე ანგარიშები განთავსებულია საქართველოს ბანკებში.

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2022 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2021 წ. (ლარი)
სავაჭრო ვალდებულებები	1 129	866
საგადასახადო ვალდებულებები	62 259	64 919
სხვა ვალდებულებები	3 281	3 083
	66 670	68 868

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი, კომპანიას გააჩნია რისკების მართვის პოლიტიკა, იმისთვის, რომ შესაძლებელი იქნეს ვალდებულებების დროული გადახდა. ყველა სავაჭრო და სხვა ვალდებულება დენომინირებულია ლარში.

საგადასახადო ვალდებულებები მოიცავს იმ გადასახადებს, რომლის დარიცხვა მოხდა წლის ბოლოს და გადახდის ვალდებულება ჯერ არის დამდგარი.

12. ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

	2022 წელი (ლარი)	2021 წელი (ლარი)
იჯარით მიღებული ამონაგები	305 379	319 751
მომსახურებიდან მიღებული ამონაგები	28 987	27 703
	334 366	347 454

13. ხელფასის ხარჯი და სხვა სარგებელი

	2022 წელი (ლარი)	2021 წელი (ლარი)
ხელფასის ხარჯები	169 571	151 509
	169 571	151 509

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

14. საოპერაციო ხარჯები

	2022 წელი (ლარი)	2021 წელი (ლარი)
ქონების გადასახადი	33 422	33 476
საექვო ვალების ხარჯი/(შემოსავალი)	(25 548)	(36 484)
საკონსულტაციო ხარჯები	15 591	15 259
ცვეთა და ამორტიზაცია	13 426	14 348
სარემონტო და ტექნიკური მომსახურება	8 584	15 473
თანამშრომლებზე გაწეული სარგებელი	3 534	5 494
სხვა ხარჯები	14 301	9 006
საბანკო ხარჯები	1 674	1 709
	64 983	58 281

15. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

	2022 წელი (ლარი)	2021 წელი (ლარი)
ზარალი ძირითადი საშუალების გასვლიდან	385	900
მორიგების აქტი	-	53 576
არასაოპერაციო ზარალი განუხორციელებელი სამშენებლო პროექტიდან	70 354	-
სხვა ხარჯი	2 517	80
	73 256	54 556

16. კაპიტალი

კომპანიას 2022 და 2021 წლების განმავლობაში არ განუხორციელებია ცვლილება სააქციო კაპიტალში.
კომპანიის სააქციო კაპიტალი წარმოადგენს მფლობელების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას.

გაუნაწილებელი მოგება წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში დარჩენილი წმინდა მოგების ნაწილს,
რომელიც გაუნაწილებელია.

კომპანიის აქციონერების მიმართ გასაცემი დივიდენდი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
შეადგენს 304,782 ლარს. (2021: 309,411 ლარი).

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

17. ფინანსური რისკის მართვა

	31.დეკ.22	31.დეკ.21
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	36 343	33 570
ფულადი საშუალებები და მისი ეკვივალენტები	375 770	335 997
სულ	412 113	369 567

კომპანიის მენეჯმენტი განიხილავს გადაუხდელი სავაჭრო დებიტორული დავალიანების ხანდაზმულობის ანალიზს და მიჰყვება ვადაგადაცილებულ ბალანსებს. მენეჯმენტი შესაბამისად სათანადოდ მიიჩნევს, წარმოადგინოს ხანდაზმულობის და სხვა ინფორმაცია საკრედიტო რისკის შესახებ. კომპანიის არც ერთი მოთხოვნა არ არის უზრუნველყოფილი.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებების მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას, როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში

კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კოლერაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებასთან.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ მცოცავი საპროცენტო გაკანვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. 2020 წლის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სესხები, შესაბამისად არც საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი

კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ გააჩნია უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივები, შესაბამისად არც სავალუტო რისკი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2022 და 2021 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე არსებული ნაშთებისგან, რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ, საგადასახადო ვალდებულების გარეშე:

ფინანსური ვალდებულებები	31.დეკ.22	1 წელზე ნაკლები	> 1 წელზე	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		66 670		66 670
გადასახდელი დივიდენდები		304 782		304 782
		371 452	-	371 452

ფინანსური ვალდებულებები	31.დეკ.21	1 წელზე ნაკლები	> 1 წელზე	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		68 868		68 868
გადასახდელი დივიდენდები		309 411		309 411
		378 279	-	378 279

ლიკვიდურობის მაჩვენებელი, 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოცემულია ქვედა ცხრილში საგადასახადო ვალდებულებების გათვალისწინებით:

წელი	მიმდინარე აქტივები	მიმდინარე ვალდებულებები	სხვაობა
2022	480 750	371 452	109 299
2021	455 110	378 279	76 831

18. დაკავშირებული მხარეები

მენეჯმენტის ანაზღაურებამ 2022 წლის განმავლობაში შეადგინა 97,633 ლარი (2021: 91,714 ლარი).

19. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება

სს „ბამბის ნართი“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში და არა მოგებას, რომელიც მიღებულ იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადების ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს სახადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრვას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგრვა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

	2022	2021
მოგების გადასახადი	0	2,644
სულ მოგების გადასახადი	0	2,644

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 12 ივნისს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

სს „ბამბის ნართი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.	შენიშვნა
გრძელვადიანი აქტივები:			
საინვესტიციო ქონება	8 758 741	8 749 257	7
ძირითადი საშუალებები	153 239	166 191	6
სხვა გრძელვადიანი აქტივები	100 580	88 270	8
გრძელვადიანი აქტივები სულ:	9 012 560	9 003 718	
მოკლევადიანი აქტივები:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	104 335	118 808	9
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	375 770	335 997	10
მარაგები	646	305	
მოკლევადიანი აქტივები სულ:	480 750	455 110	
აქტივები სულ:	9 493 310	9 458 829	
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	66 670	68 868	11
გადასახდელი დივიდენდები	304 782	309 411	
მოკლევადიანი ვალდებულებები სულ:	371 452	378 279	
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	926 304	926 304	16
დაგროვილი მოგება	8 195 555	8 154 246	
კაპიტალი სულ:	9 121 859	9 080 550	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	9 493 310	9 458 829	

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 12 ივნისს.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:

დავით პაპუნაშვილი



დირექტორი:

თეონა ლებანიძე

7-27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

სს „ბამბის ნართი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	2022 წელი	2021 წელი	შენიშვნა
ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	334 366	347 454	12
ხელფასის ხარჯები	(169 571)	(151 509)	13
საოპერაციო ხარჯები	(64 983)	(58 281)	14
მოგება/(ზარალი) ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან	99 813	137 665	
ფინანსური შემოსავალი	13 345	8 664	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1 408	4	
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(73 256)	(54 556)	15
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	41 309	91 776	
მოგების გადასახადი	-	(2 644)	
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)	41 309	89 132	
საბაზისო და განზავებული შემოსავალი / (ზარალი) ერთ აქციაზე	0.06	0.13	

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 12 ივნისს.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:

დავით პაპუნაშვილი



დირექტორი:

თეონა ლებანიძე

სს „ბამბის ნართი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	2022 წელი	2021 წელი	შენიშვნა
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისა და დამკვეთისგან მიღებული ფულადი სახსრები	417 463	393 000	
გადახდილი ხელფასები (საპენსიოს ჩათვლით)	(140 299)	(134 703)	
სხვა საოპერაციო ხარჯები	(123 091)	(206 471)	
გადახდილი გადასახადები	(111 710)	(961 623)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	42 362	(909 798)	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1 013)	(7 841)	
საინვესტიციო ქონებაზე კაპიტალიზებადი შეძენები	(10 523)	-	
მიღებული პროცენტები	13 345	8 664	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	1 809	823	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
გადახდილი დივიდენდები	(4 398)	(36 457)	16
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(4 398)	(36 457)	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(0)	0	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	39 773	(945 432)	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	335 997	1 281 428	10
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	375 770	335 997	10

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 12 ივნისს.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:

დავით პაპუნაშვილი



დირექტორი:

თეონა ლებანიძე

7-27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.


სს „ბამბის ნართი“
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

	სააქციო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ
ნაშთი 31.12.2020-თვის	926 304	8 065 114	8 991 418
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	89 132	89 132
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	926 304	8 154 246	9 080 550
ნაშთი 31.12.2021-თვის	926 304	8 154 246	9 080 550
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი	-	41 309	41 309
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	926 304	8 195 555	9 121 859
ნაშთი 31.12.2022-თვის	926 304	8 195 555	9 121 859

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 12 ივნისს.


სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:

დავით პაპუნაშვილი




დირექტორი:

თეონა ლებანიძე



7-27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.